



ბათუმის უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №8, ოქტომბერი, 2011.

საჯარო ლექსია თემაზე: „მსოფლიოს მდგრადი განვითარების გამოწვევები“

არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ მელნიკმა საჯარო ლექსია წააკითხა თემაზე: „მსოფლიოს მდგრადი განვითარების გამოწვევები: საჯარო პოლიტიკის ფუნქცია საქართველოში“. ლექსიას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, მკვლევრები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მდგრადი განვითარების ექსპერტი უნივერსიტეტს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტო "USAID"-ის მხარდაჭერით ეწვია.



ზაფხულის ღია ახალგაზრდული თეატრის სპექტაკლი - „სასიერო ოინი“ გაიმართა

უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით იტალიელი კომედიოგრაფის კარლო გოლდონის „სასიერო ოინის“ ჩვენება გაიმართა. რეჟისორ ოთარ ქათამაძის სპექტაკლში პროფესიონალ მსახიობებთან ერთად სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. „Comedia del arte“-ს სტილში დადგმული წარმოდგენა ქალაქ ბათუმის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში შედგა, რომლის მიზანია ნიჭიერი, შემოქმედებითი უნარის მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათი წარმოჩენა.



„ზაფხულის ღია ახალგაზრდული თეატრის“ რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქის ბულვარსა და ქუჩებში არაერთი სპექტაკლი დადგა.

სტუდენტური ჩამოინახი „რა? სად? როდის?“



სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ სტუდენტური ჩემპიონატი დაიწყო. პირველობა ოთხ ტურად ჩატარდება და მასში რსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის 120 სტუდენტთან ერთად სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას. სტუდენტური თვითმმართველობა 27 ოქტომბერს სამი საუკეთესო გუნდის წევრებს სივლეებსა და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს. ჩემპიონატის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში ინტელექტუალური და შემეცნებითი თამაშების პოპულარიზაციას.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და გადაუდებელი მედიცინის სასწავლო კურსი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად ატარებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და გადაუდებელი მედიცინის სასწავლო კურსს (PHEM) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და საგანგებო სიტუაციების მართვა“. ხუთდღიანი ტრენინგის თემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა საგანგებო სიტუაციაში მზადყოფნა პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ დონეზე, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, ეპიდემიების და გადამდები დაავადებების კონტროლი და ზედამხედველობა. სასწავლო კურსში მონაწილეობენ რსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები, სამედიცინო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და გადაუდებელი მედიცინის სასწავლო კურსის

ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 80-ზე მეტი ჯანდაცვის მენეჯერი მომზადდა. სასწავლო კურსი აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა თემურ გაბაიძემ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-



ბათუმის საზოგადოებრივი სკოლა „ნეირობიოლოგიის საფუძვლები“

ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტის ნეირომეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით შოთა რუსთაველის სახელმწიფო

როვე მეთოდებს შეისწავლიან. ახალგაზრდები გაეცნობიან მეთოდურ მიდგომას – პეტრ კლამპს, რომელმაც უფრედულ და მოლეკულურ ბიოლოგიასა და ექსპერიმენტული მედიცინის კვლევის დარგში, XXI საუკუნის დასაწყისში რევოლუცია მოახდინა. სამემოდგომო სკოლის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ სიახლეების შესასწავლად თავად ჩაატარონ ცდები ცხოველებზე. თანამედროვე სამეცნიერო აპარატურა რსუ-ს საჩუქრად ჰუმბოლტის უნივერსიტეტის ნეირომეცნიერების ინსტიტუტმა ქართველი პროფესორის თენგიზ გლოველის ინიციატივით გადასცა. სამემოდგომო სკოლის ფარგლებში საჯარო ლექსიას ჩაატარებს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ნეიროფიზიოლოგიაში მათემატიკური მოდელირების ფუძემდებელი, პროფესორი როჯერ ტრაუბი.



ფო უნივერსიტეტში ბათუმის პირველი სამემოდგომო სკოლა „ნეირობიოლოგიის საფუძვლები“ გაიხსნა. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში კონკურსის წესით შერჩეული მაგისტრანტები და დოქტორანტები ერთი კვირის განმავლობაში ნეირობიოლოგიური კვლევის თანამედ-

სიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ უტიაშვილმა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა უტე ენდერლინმა და გახსნა.

ჩინეთის ელჩის ვიზიტი

საქართველოში ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩენ ჯიანფუს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე და რსუ-ს რექტორი, პროფესორი ალიომა ბაკურიძე შეხვდნენ. მხარეები განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე შეთანხმდნენ. შეხვედრა აჭარის ხალხური ცეკვის



სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმისა“ და მ. კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო გუნდის კონცერტით დასრულდა.

ინტერვიუ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანთან

მიმდინარე წელს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტზე 160-მდე სტუდენტი ჩაირიცხა, გაცილებით მეტი, ვიდრე გასულ სასწავლო წელს. ბუნებრივია, ახალი ნაკადის მოზიდვაში დიდი წვლილი მიუძღვის საინჟინრო სპეციალობების პრიორიტეტად გამოცხადებას, ასევე ფაკულტეტის გამოცდილებას, რომელიც შეიქმნა ათწლეულებზე მეტია სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვა-

წეობას მოიცავს. აღნიშნულთან დაკავშირებით ვაზუთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ კითხვებს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი – გიზო ფარცხაღაძე პასუხობს: – ბატონო გიზო, როგორ შეაფასებდით

დასასრული 83.3

უხევედრა სტუდენტებთან

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიომა ბაკურიძე რვა დღის განმავლობაში ყველა სტუდენტს შეხვდა და 2011-2012 სასწავლო წლის სიახლეებსა და პრიორიტეტებზე ესაუბრა. ახალგაზრდებს დეტალურად გააცნო სასწავლო პროცესთან, სტუდენტთა რეგისტრაციასთან, სტიპენ-

დიების გაცემის წესთან და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული ცვლილებები. რსუ-ს მთავარ საზრუნავად რჩება სწავლების ხარისხის, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კვლევა-ძიების, ხა-

დასასრული 83.2



დასაწყისი 1-33.

რისხის უზრუნველყოფის სისტემისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევრების საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლასა და სტაჟირებას. რსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ 100 პროცენტია გრანტის მფლობელს, ტურიზმის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს თამთა ქარცივაძეს საჩუქრად ნოუთბუქი გადასცა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიცემა სხვადასხვა სახის სტიპენდია. წინა წლებისაგან განსხვავებით პირველად

უხვედრა სტუდენტთან

შვილი) წევრი, იძულებით გადაადგილებული (დევნილის) სტატუსის მქონე, სოციალურად დაუცველი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა, უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებულთა შვილი და ობოლი (დედით ან მამით). დედ-მამით ობოლი სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან. ცვლილებებია სტუდენტთა შეფასების წესში. სტუდენტი ფასდება არა მხოლოდ დასკვნითი გამოცდით, არამედ სემესტრის მანძილზე განულებული შრომის მიხედვით, რაც ითვალისწინებს: შუალედური (ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული, ლაბორატორიული, მიმდინარე რეიტინგული შეფასება და შესა-

რული კლასები, თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად ერთი კომპიუტერი მოემსახურება. ახალი პროგრამის დანერგვა დაეხმარება სტუდენტს მობილიზებულად იმუშაოს კომპიუტერთან მოცემული დროის განმავლობაში, რომლის ამონურვის შემდეგ პროგრამა დაასრულებს მუშაობას და სტუდენტი მონიტორზე დაინახავს მიღებულ შედეგს. ახალი სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს აქამდე არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, ამასთანავე ის ხელსაყრელ პირობებს უქმნის სტუდენტებს მუშაობის და ცოდნის ობიექტურად შეფასებისათვის. გამოცდებზე გამოიყენება როგორც ღია, ისე დახურული ტიპის ტესტები. საგნის ორჯერ ჩაუბარებლობა იწვევს სტუდენტის სტატუსის არა შეჩერებას, არამედ შეწყვეტას. მას აღდგენა სხვა უმაღლეს სასწავლებელში შეეძლება. სტუდენტს უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „ჩაიჭრა“ შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუდენტი ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ გადის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას (აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას დაწარმოებს 3-ის შესაბამისად). სტუდენტს უფლება აქვს ერთი სასწავლო წლისთვის დაარეგისტრირდეს არაუმეტეს 75 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები. სწავლების ოპტიმალური ვადა ტოლია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადისა. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ოპტიმალური ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს თუკი დარჩება დავალიანება, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. სწავლების მეორე წლიდან, მობილობის ფარგლებში სტუდენტს უფლება აქვს შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში, გაზაფხულის სემესტრისა და სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე შესაძლებელია სტუდენტთა მობილობა ფაკულტეტებს შორის (შიდა მობილობა) და გარეცხული სტუდენტების აღდგენა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წელი ორსემესტრიანია. სემესტრი მოიცავს 19 კვირას. 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას, 3 კვირა – ძირითად საგამოცდო სესიებს და 1 კვირა – დამატებით საგამოცდო სესიებს. 2011–2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სალექციო სააუდიტორიო საშუალებები სწავლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის დაიწყო 19 სექტემბერს, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის 17 ოქტომბერს და დამთავრდება 2011 წლის 30 დეკემბერს. ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდება 2012 წლის 9 იანვარიდან 28 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2012 წლის 8 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით; გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო საშუალებები დაიწყება 2012 წლის 20 თებერვალს და დამთავრდება 2012 წლის 1 ივნისს. გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდება 2012 წლის 4 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია 2012 წლის 4 ივლისიდან 12 ივლისამდე. კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია მიენიჭებათ 2012 წლის 12 ივლისიდან 17 ივლისამდე. უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. რსუ თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებასთან. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი პროგრამები: • ერასმუს მუნდუსი

(ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამა); • გლობალური გაცვლითი პროგრამა ბაკალავრებისათვის (IREX-ის დაფინანსებით); • ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა (IREX-ის დაფინანსებით); • SI -ის (ღია საზოგადოების ინსტიტუტი) პროგრამები; • SAID-ის სტაჟირებები; • ვი-შეგრადის სამაგისტრო პროგრამები; • სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო სასწავლო და სტაჟირების გრანტები; • რსუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამები; • საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამები. უცხოეთში სწავლის გაგრძელების, პრაქტიკისა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში (საზაფხულო სკოლა, სტუდენტური კონფერენცია, ვორკშოპები, მოკლევადიანი კურსები) მონაწილეობის მსურველ სტუდენტებს დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ მიმართონ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს: I კორპუსი: ოთახი №35; ტელ: 27-17-81; ელ. ფოსტა: ird@bsu.edu.ge, ვებ-გვერდი: www.bsu.ge/ird. სტუდენტებს ემსახურება სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა. 2011 წელს უმაღლესმა სასწავლებელმა შეიძინა 1364 წიგნი (824 სახელმძღვანელო, 189 დამხმარე სახელმძღვანელო). პროფესორ-მასწავლებლებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს 1239 წიგნი, მათ შორის 366 სახელმძღვანელო. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსს შეემატა “დისტანციური სწავლების ცენტრი”, რომლის ინტერნეტითა და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა შეუძლიათ დოქტორანტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის ხელშეწყობით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და სოციალური პროექტი. კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით სამსახური ახორციელებს სტუდენტთა დასაქმების პროგრამებს. უნივერსიტეტის ვებგვერდზე პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია რეგიონის მასშტაბით კერძო და საჯარო სექტორში არსებული ვაკანსიების შესახებ, მიმდინარეობს დაინტერესებულ სტუდენტთა მობილიზება კონკრეტული დასაქმების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. სამსახური აქტიურად იღებს მონაწილეობას ქ. ბათუმის მერიის დასაქმების პროგრამის ორგანიზებაში, ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას საზაფხულო, მოკლევადიან დასაქმებაში. სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახური კოორდინირებს უწევს სტუდენტური სამეცნიერო, შემეცნებითი, კულტურული, სახელოვნებო და სპორტული ცენტრებისა და სექციების მუშაობას. ესენია: • სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი; • მხიარულთა და საზრიანთა კლუბი „მან სან კანი“; • სტუდენტური თეატრი; • თანამედროვე ცეკვის წრე; • კინო კლუბი; • ქართული ხალხური ცეკვის წრე; • ვოკალური ანსამბლი; • მინი ფეხბურთის ფუნდი; • მკლავჭიდის კლუბი; • კრივის წრე; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სამსახურმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა პირველკურსელისათვის შექმნა ელექტრონული ფოსტა, რომლის სახელისა და ფოსტის დასადგენად სტუდენტებმა უნდა მიმართონ შესაბამისი სპეციალობის ფაკულტეტებს. სიახლე ხელს შეუწყობს სტუდენტების ინფორმირებულობას. ახალგაზრდები ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეცნობიან ყველა ცვლილებასა და მარეგულირებელ დოკუმენტს. ფოსტის შესამოწმებლად სტუდენტები უნდა შევიდნენ უნივერსიტეტის მთავარ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge ან www.bsu.ge) და ვერტიკალურ მენიუში გახსნან ელ-ფოსტა. ტექნიკური პრობლემების არსებობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომუნიკაციის სამსახურს.



აიღებენ სტიპენდიას 100 ლარის ოდენობით ის პირველკურსელები, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციისას პირველ რიგში მითითებული ჰქონდათ რსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტი და მათთვის გამოცდაზე მიღებული აქვთ ყველაზე მაღალი ქულა. ასევე პირველად 50 ლარიან სტიპენდიას მიიღებენ მეორე სასწავლო წლიდან უწყვეტი კარგოსანი, 81 ქულის მქონე სტუდენტები. რაც შეეხება წარჩინებულ (91 და მეტი ქულის მქონე) სტუდენტებს, მათთვის კვლავ 100 ლარიანი სტიპენდიაა გათვალისწინებული. გაიზარდა ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის რაოდენობა. ოთხი, კონკურსის წესით შერჩეული წარჩინებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტი 250-ის ნაცვლად 355 ლარს მიიღებს. რაც შეეხება ცნობილი პროფესორ-მასწავლებლების სახელობის სტიპენდიებს, მისი რაოდენობა უცვლელი რჩება. ასევე სწავლების მეორე წლიდან წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობენ სასწავლო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, ფაკულტეტების მიხედვით დაწესებული სტიპენდიები დაენიშნებათ. განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიკოსები: დურსუნ ბალაძე და მემედ კომახიძე; პროფესორები: აბელ სურგულაძე, როლანდ კომახიძე, დავით ხახუტაიშვილი; დოცენტები: სილოვან დადუნაშვილი, ოთარ ახვლედიანი და ვლადიმერ ქემხაძე; სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი: აკადემიკოსები: ვალერიან მელქაძე, სერგო ჯორბეჩაძე და ვახტანგ პაპუნძი; საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტი: პროფესორი ნიკო ნიკოლაძე; აგარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი: აკადემიკოს ლევან ყანჩაველი; სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის მოქმედებს სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“. პროგრამის მიზანია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის წარჩინებულ, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს დაეხმაროს სწავლის გადასახადის დაფარვაში. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი ან მეტი

ბამისი სილაბუსით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები) და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებას ეთმობა 40 ქულა, ხოლო 60 ქულა შუალედურ შეფასებებს (აქედან ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული, ლაბორატორიული და ა.შ. 40 ქულა, ხოლო რეიტინგული შეფასებები-20 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 11 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნითი გამოცდაზე არ დაიშვება. სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა; ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს დასკვნითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების გაპროტესტების უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში, ხოლო თუ დასკვნითი გამოცდა ტარდება გამოცდების და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში, სტუდენტს გამოცდის შედეგის გაპროტესტების უფლება აქვს გამოცდის დასრულებისთანავე. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი ერთიანი მნიშვნელოვანი რგოლია სასწავლო პროცესის ორგანიზებულად და ობიექტურად წარმართვისათვის. რადგანაც სტუდენტის ცოდნის ობიექტური შეფასებისას ტესტური გამოცდები მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია უნივერსიტეტი ცდილობს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საგარეო ცენტრის გაფართოებასა და განვითარებას, რათა სტუდენტმა გაცოდებით უფრო უკეთეს პირობებში შეძლოს შუალედური და სემესტრული გამოცდების ჩაბარება. 2011-2012 სასწავლო წელს საგამოცდო ცენტრში ინერგება ახალი სისტემა, რომელშიც მოიაზრება ახალი კომპიუტერული



ინტერვიუ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანთან

დასაწყისი 1-პ.პ.

2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის გადასახედებთან?

– 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით უკმაყოფილონი არ ვართ. აბიტურიენტების საკმაო რაოდენობა ჩაირიცხა, როგორც ბაკალავრიატის, ისე პროფესიულ და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე – სულ, დაახლოებით 160 სტუდენტამდე. მსურს ყველას წარმატებები ვუსურვო და მინდა, რომ მათი მომავალი წინსვლის საფუძველი საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე მათი კარგი სწავლა და მოღვაწეობა გახდეს.



როგორ ფიქრობთ, რა გახდა მიმდინარე სასწავლო წელს სტუდენტთა მოზიდვის უმთავრესი მიზეზი?

– 2011 წლის ეროვნული გამოცდებისთვის უნივერსიტეტმა თავიდანვე დაიწყო სერიოზული მზადება. რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომელმაც დასავლეთ საქართველოს აბიტურიენტების დიდი ნაწილს გააცნო მათთვის შექმნილი სპეციალური პროგრამა, მოუყვა მათ უნივერსიტეტის ცხოვრებაში მიმდინარე იმ სახსრების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათთვის შეიძლება ყოფილიყო საინტერესო. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საინჟინრო სპეციალობების მიმართ, რაც გამოიხატა აბიტურიენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდებში გრანტების მოპოვების ახალ სისტემაში. ამ სისტემის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება საინჟინრო მიმართულების სპეციალობებს. ასევე, გასათვალისწინებელია, ჩვენი ფაკულტეტის დიდი ხნის (73 წლიანი) წარმატებული ტრადიციები საინჟინრო კადრების მოზადებაში.

სტუდენტებს საიხსრებს ხომ არ პირდებით?

– პირველ რიგში, ყურადღება მინდა გავამახვილო საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც შედგენილია ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად და რომელთა სწავლის შედეგების განსაზღვრასა და დახვეწაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა პირებმა – დამსაქმებლებმა, აკადემიურმა პერსონალმა, სტუ-

დენტებმა. საგანმანათლებლო პროგრამაში დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებული იქნა, როგორც სპეციალობის ძირითადი ნაწილის, ისე დამატებითი და არჩევითი სასწავლო კურსების შერჩევას. ძველი პროგრამის გადაფასების საფუძველზე გამოიკვეთა ახალი მოთხოვნები. მაგალითად, სასწავლო კურსები მოდულებიდან იქნა გამოცალკევებული. ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნათა და დამსაქმებელთა აზრის გათვალისწინებით პროგრამაში შემოტანილი იქნა კომპიუტერული გრაფიკის და დაპროექტების კომპიუტერული სისტემების სასწავლო კურსები (LIRA, AutoCAD, C++, ვებდებიანი და სხვ.), უცხოენის შესწავლისათვის საათების რაოდენობა 20 კრედიტამდე გაიზარდა. კურიკულუმში შემოტანილი იქნა პრაქტიკა. ყურადღება გამახვილებულია ისეთ

სასწავლო კურსებზე, რომლებიც უშუალოდ დაპროექტებასთან არიან დაკავშირებული და ავითარებენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. რაც კომპანიებთან და დაწესებულებებთან გაფორმებულია მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობაზე, რომლებიც ითვალისწინებს რსულ პროფესორ-მასწავლებლებისათვის სამეცნიერო და მეთოდური დახმარების გაწევას, პრაქტიკის ჩატარებისა და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფას. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მოქმედ პირებს აქვთ კავშირი კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, რათა გათვალისწინებული იქნას ტექნიკისა და ბაზრის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შენიშვნები და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში.

სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსია გამოცხადებული. როგორია ფაკულტეტზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრება?

– დღეისათვის უნივერსიტეტში არის სხვადასხვა სახის სტიპენდიები, მათ შორისაა: 1-ლი კურსის სტუდენტებისათვის, რომლებსაც განაცხადში პირველ ადგილზე მითითებული ჰქონდათ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეოთხე არჩევით საგანში მიღებული აქვთ მაღალი ქულა, ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით სწავლების მეორე წლიდან წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით, ასევე სტუდენტებს, რომლებსაც ცოდნის შეფასებისას მიღებული აქვთ 81 და მეტი ქულა.

წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ გარკვეული წარმატებები სამეცნიერო მუშაობაში, კონკურსის საფუძველზე, ენიშნებათ სახელობითი სტიპენდია 150 ლარის ოდენობით

სოციალურად დაუცველ წარჩინებულ სტუდენტებს, კონკურსის საფუძველზე, ენიშნებათ ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია 250 ლარის ოდენობით

რაც შეეხება ფაკულტეტზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრებას, დღეისათვის ფრიადოსანი სტუდენტი ფაკულტეტზე არ გვყავს, მაგრამ არიან კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები, რომლებსაც აქვთ შეფასებებში 81 და უფრო მეტი ქულა.

აქვე მინდა წარმატებების ვუსურვო ყველას, ვინც სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობს.

აკმაყოფილებს თუ არა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანამედროვე მოთხოვნებს?

მშენებლობის, ტელეკომუნიკაციის, ტრანსპორტის და სამთო და გეოინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად ხორციელდება რსულ საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე კორპუსში. ფაკულტეტს აქვს საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც განლაგებულია ფაკულტეტის კორპუსში; ინტერნეტის ქსელში ჩართულია კომპიუტერული კლასები. ფაკულტეტზე



ფუნქციონირებს მექანიკის, ელტექნიკის, მასალათა გამძლეობის, სამშენებლო კონსტრუქციების, გრუნტების მექანიკისა და ფუძე საძირკვლების და სხვა ლაბორატორიები.

სხვადასხვა დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, ფაკულტეტს აქვს საშუალება ისარგებლოს მათი სამეცნიერო და კვლევითი ლაბორატორიებით.

თანამედროვე პერიოდში ტექნიკისა და ტექნოლოგიების მოთხოვნები დინამიურად იცვლება, ფაკულტეტმაც, შესაბამისად უნდა შეიცვალოს და განახლოს მატერიალურ-



ტექნიკური ბაზა.

რა საიხსრებისა და გამოწვევების წინაშე დგას ფაკულტეტი?

პირველ რიგში ჩვენი ფაკულტეტი უნდა პასუხობდეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ამჟამად არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსებისა და ახალი სასწავლო კურსების მოზადებისათვის. ახლა ვემზადებით პროგრამული აკრედიტაციის გასაწვლად. ამ მიზნით, უნივერსიტეტში ველოდებით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შერჩეულ ექსპერტებს. პროგრამული აკრედიტაციის გავლის პროცესში წარმატებები მინდა ვუსურვო, როგორც ჩვენ ფაკულტეტს, ისე ჩვენი უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებს.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის სამომავლო მიზნები, გეგმები და ამოცანები.


– ცხოვრება თავის ტემპებს და თავის მაღალ კრიტერიუმებს გვთავაზობს. საინჟინრო დარგი საქართველოში სახელმწიფო პრიორიტეტია რიგშია. შესაბამისად, ჩემი, როგორც საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის უპირველესი მიზანია, ყოველგვარი პირობა შექმნა დარგის განვითარებისათვის, საინჟინრო საგანთა სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისათვის, სტუდენტთა სწავლის პირობების უზრუნველყოფისათვის, კვალიფიცირებული კადრებით ფაკულტეტის შევსებისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს მხოლოდ გუნდური ძალისხმევითაა შესაძლებელი და რომ უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ყველა დასახული მიზანი დროულად და ხარისხიანად იქნება მიღებული.

და ბოლოს, ჩვენი გაზეთის რედაქციის სახელით გვინდა მოგილოცოთ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევა

– დიდი მადლობა, მეც წარმატებებს ვუსურვებ თქვენი გაზეთის რედაქციას.

ნარეკალი წიგნები

გამოვიდა ნობელის პრემიის ლაურეატის ფრიტიოფ ნანსენის წიგნი „კავკასიიდან ვოლგისაკენ“. წიგნი შეადგინა, წინათქმა, ფოტოები და წერილები დაურთო ჩვენმა თანაქალაქელმა, ცნობილი კინორეჟისორის, სულიკო ჟღენტის ქალიშვილმა, პროფესორმა ოლიკო ლენტიამ. მან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა მისი ბოლო ორი ნაშრომი.



1900 წელს ფრიტიოფ ნანსენი ხელმძღვანელობდა ერთა ლიგის სხდომას, რომელმაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უარი უთხრა მსოფლიო სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ნანსენმა მსოფლიო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ მხარი დაეჭირათ საქართველოსთვის და განსაცდელში მარტო არ მიეტოვებინათ ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა. სამწუხაროდ, ნანსენის ამ მოწოდებას მხარი არ დაუჭირეს. ამ მოწოდებისთვის რომ მხარი დაეჭირათ, 90 წლის შემდეგ დღეს საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ძლიერი დემოკრატიული ქვეყანა იქნებოდა. ფრიტიოფ ნანსენის საერთაშორისო კომიტეტი ქველ-

მოქმედებას ეწეოდა, რასაც ი. სტალინი თანაუგრძობდა და მხარს უჭერდა. 1925 წელს ერთა ლიგამ ფრიტიოფ ნანსენს დაავალა თურქეთიდან სომხეთში ლტოლვილების მონყობის საკითხების შესწავლა. შეიქმნა სპეციალური კომისია ნანსენის თავმჯდომარეობით, რასაც მოყვა მოგზაურობა სომხეთსა და საქართველოში. ამ მოგზაურობების დროს მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე მან გამოსცა 2 ნაშრომი: 1. „სომხეთი და ახლო აღმოსავლეთი“ 2. „კავკასიიდან ვოლგისაკენ“. სომხური ისტორიოგრაფიის კარგი ცოდნისა და მისი გავლენის გამო საქართველოს ისტორიაზე მსჯელობისას ნანსენი აშკარად ტენდენციურია. იგი ქართველებს არსებულ ტერიტორიებზე მოსულ ხალხად თვლის და არაფერს ამბობს ქართველების ავტოქტონობის შესახებ. მოგზაური შეცდომას უშვებს, როცა აცხადებს, რომ ქართველები შუა საუკუნეების ცხოვრების წესს მისდევდნენ, რითაც უარყოფს მის ცივილიზებულიებას. ნანსენის დროში საქართველო ამერიკავკასიის კულტურულ ცენტრად ითვლებოდა, მოგზაური ხაზს უსვამს არმაზ მთვარის ღვთაების სახელის ირანულ წარმომავლობას და არაფერს

მოგახსენოთ, მაგრამ სინამდვილეში რუსები საქართველოში საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, წარმატებით ახორციელებდნენ სამხედრო ავანტიურისტულ გეგმებს. ამასთან ერთად, ფრიტიოფ ნანსენი ნაშრომში არაფერს ამბობს 1917 წლის დეკემბერში სომხების მიერ საქართველოში ჩატარებული სამხედრო ავანტიურისტული შესახებ. ერთგან ნანსენი სავსებით სამართლიანად აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკთა აჯანყებას თბილისში რუსები და სომხები აღვივებდნენ. მოგზაურმა ნაშრომში საინტერესოდ აღწერა კავკასიელი ხალხის ბრძოლა რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ შამილის ხელმძღვანელობით. ნობელის პრემიის ლაურეატმა, მეცნიერმა ფრიტიოფ ნანსენმა მდიდარი ფოტომასალა დაგვიტოვა საქართველოს სამხედრო გზის, ძველი თბილისის და ბათუმის შესახებ. ნაშრომში მოგზაური გვესაუბრება ბათუმის მილსადენზე, რომელიც გადაჭიმული იყო ბაქოდან შავ ზღვამდე. მისი მშენებლობა 1906 წელს დასრულდა. 900 კილომეტრი სიგრძის მილსადენში წელიწადში გადიოდა 70 მილიონი ფუთი ნავთობი. სამწუხაროდ, ფრიტიოფ ნანსენი საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას არა ანექსიად, არამედ ნებაყოფლობით ფაქტად მიიჩნევს.

მკითხველი უდავოდ დაინტერესდება ნობელის პრემიის ლაურეატის ფრიტიოფ ნანსენის მიერ ნაშრომში წარმოდგენილი დღიურებით.

მერაბ მებრელიძე



მამია ფალავა „შავპური ჩანაწერები“ (2011)

ყოველი ახალი პუბლიკაცია, ახალი წიგნი სიხარულია, მით უმეტეს თუ იგი ეძღვნება აქამდე შეუსწავლელ ან ნაკლებად შესწავლილ ობიექტს; ეძღვნება იმ საქმეს, რომელიც მთელი შენი ცხოვრების მთავარ მიზნად ქცეულა; სასიხარულოა მით უმეტეს დღეს – ამ საერთო შეჭრების უამს, როცა მოგვეძალა ყოფილი პრობლემები, ყოველდღიური საზრუნავი. ასეთი წიგნია სწორედ მ.ფალავას „შავპური ჩანაწერები“, რომელიც მოგვითხრობს ისტორიული საქართველოს –ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების შესახებ, მათ ყოფაზე, ენაზე, ტრადიციებზე...

• წინასიტყვაობაში მ. ფალავა წერს: „ამ წიგნით მინდოდა მკითხველისათვის მომეთხრო იმ განცდებისა და შთაბეჭდილებების შესახებ, რომლებიც მეუფლებოდა თურქეთის საქართველოში მუშაობისას, მომეთხრო აქ გაბნეული ქართული ხუროთმოძღვრების არაჩვეულებრივ ძეგლებზე, რომელთა სიდიადეც ძარღვებში სისხლს გიჩერებს პირველმხახველს“.

თავს ნებას მივცემთ და შევცვლით ამ, გახაზული ზმნების (მეუფლებოდა, გიჩერებს) რიცხვს: ეს განცდები გვეუფლებოდა, სისხლს გვიჩერებდა ექსპედიციის ყველა წევრს. ჩვენც ხომ ვიყავით ამ დიდებულებათა „პირველმხახველები“, რომლებსაც მადლობით მოგვიხსენიებს ავტორი. ჩვენი მხრით ჩვენც მადლობას ვუბნებთ ექსპედიციის ხელმძღვანელს, ჩვენს „მუხტარს“ (ქალბატონმა თინა შიომშვილმა შეარქვა მას ეს სახელი), რომელმაც გაგვახარა ამ „ჩანაწერებით“ და რომელთანაც ერთად სიამაყით, მაგრამ სევდითა და შიშითაც ვისმენდით ჩვენგან მოწყვეტილ იქაურ „ჩვენებურთა“ ნაამბობს. სიამაყით – ამდენ ხანს რომ გაძლო ჩვენმა ენამ, ასე რომ ელოლიანებოდა მას, უცხო გარემოში მომწყვედულებს.

სევდითა და შიშით – რადგან ხედავდით, რომ თანდათან ვინროვდება ქართული ენის გავრცელებულობის არე, მცირდება მასზე მოლაპარაკება რაოდენობა.

• როცა ამ წიგნის სახელწოდება წავიკითხე, ვიფიქრე, რომ ეს იქნებოდა დღიურები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – ჩანაწერები ექსპედიციის ყოველდღიურ მუშაობაზე: სად, რომელ სოფელში, როდის, ვისგან ვინერდით მასალას, რამდენ ხანს ვრჩებოდით, რა ვნახეთ... ერთი სიტყვით, ეს იქნებოდა ანგარიში ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის როგორც მექართულე, ისე მეთურქულე შავშეთის სოფლებში (გახაზული ტერმინები ეკუთვნის მ. ფალავას). მაგრამ არა, ეს არ არის მშრალი ანგარიში.

ჩანაწერებში – ამ, პეიზაჟებითა და ექსპედიციის წევრთა განცდების გამოხატველი ადგილებით გაჯერებულ მხატვრულ ანგარიშში ჩართულია მეცნიერული მსჯელობა, თვით ავტორისა და სხვათა ვარაუდები ამა

თუ იმ ენობრივ ფორმაზე, მატერიალური კულტურის ძეგლებზე... ჩართულია მოხერხებულად შესაფერის ადგილებში ისე, რომ არ ტოვებს ზედმეტობის შთაბეჭდილებას.

ამ ჩანაწერებით პროფესორი მ. ფალავა წარმოგვიდგება არამარტო ენათმეცნიერების საკითხებზე დაფიქრებულ მკვლევარად, არამედ ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, მითოლოგიის მცოდნედ, რომელიც კარგად იცნობს მეცნიერების ამ დარგების შესახებ არსებულ ლიტერატურას, პირველწყაროებს და მიგნებულად იყენებს თავისი ვარაუდების საბუთად.

• ბევრ რამეს გვიყვება ეს 360 გვერდიანი წიგნი. იმასაც, რომ ალთუნის – ოქროსმადიებლები ვეგონეთ ჩვენებურებს.

კი, ნამდვილად ვიყავით და ვართ ოქროსმადიებლები, მაგრამ არა ჩვეულებრივი ოქროსი, არამედ იქაურ ქართველთა ცნობიერებაში, აზრსა და გონებაში შენახული ოქროსი.

„ხელი რომ გიმიჭრა, ჩემი სისხლი ქართულად დაწერავს“; „კიდევ ვგნებულობთ ერთმანეთ, კაა“; „დრო რამდენიც გადის, იკარგვის ქართული“; „გურჯიჯა აღარ დარჩა“ – აი ამ ოქროსი, ამ გულისტკივილს ვეძებდით და ვპოულობთ კიდევც.

აი კიდევ ერთი ნაპოვნია: „თამარას ცნობილოვ? აქაური თამარას ყალბები არიან, ხევიდან დუშმკრივებია კაცები, ხელიდან ხელში აძლევდნენ ქვებ. ჩვენი ყალბი ისე უშენებია... თამარა დედოფლის მეზური თურქიქეშია“ (87). სოფელ ზაზგირეთის მალა, საზგირელზე, ეგულებათ „თამარას სასვენი“ (72). იქაურ საფლავებში ეგულებათ აგრეთვე თამარ მეფის თორომთა – შთამომავალთა ძვლები: „ე ძვლებიო თამარა დედოფლის თორომებისაო. მე და დედოფლათნაო, ჩემი მეზური ვერ იპოვნინო... ფიქალზე დაწერილი იყო“ – ირწმუნებიან.

„ასე სწამთ აქ და ვერც ვერავინ შეაცვლევინებს აზრს აქაურ კაცს. და არც უნდა ეცადოს ვინმე“ – სამართლიანად ფიქრობს და წერს მ. ფალავა.

• ბევრი რამის შესახებ გამოთქვამს ავტორი თავის აზრს. ამ აზრთაგან ზოგი კატეგორიულია, ზოგიც – მხოლოდ ვარაუდი, რომელსაც ახლავს კითხვის ნიშანი, სიტყვები: „ვფიქრობ“, „ვინ იცის“, „შესაძლებელია“. არ გაუბრის ასეთ „სათუო“ მსჯელობასაც: „ბზათა თუ გზათა?“ – თუ ამოსალოდლო ფორმად... გზათა მივიჩნევთ, მაშინ ეს სოფელი უნდა იყოს გზათა შესაყარი თუ გზათა გასაყარი, ან რაიმე ამის მსგავსი (121).

„არ უნდა იყოს ოშნაკი ქართული სიტყვა“ (245)...

მრავალ საინტერესო საკითხზე მსჯელობს მ. ფალავა:

„არის არსებობაზე (19), ყ და ჯ თანხმოვნების მონაცვლეობაზე, უმალუტიან და ნახევარხმოვნებზე (44), ტონურ მახვილზე

(78), ზმნის ფორმებზე: ხვრეტს (30), ნივდენ (60), სოფელთა და ციხეთა სახელებზე: იფხრევილი (84), პარეხთა (90), კოთხევი (170), ბრილი (168), სათლელი (94), დიობანი (180) და მრავალ სხვაზე.

„ჩანაწერებში“ განხილულ ზოგიერთ საკითხზე ადრეც წერდა მ. ფალავა; ასეთია, მაგალითად, ხანძისა და შატბერდის მონასტერთა ლოკალიზაციის საკითხი. აქ უკვე კატეგორიულია ავტორის მსჯელობა.

სხვადასხვა წყაროზე, თვით ლიტერატურის ძეგლებზე დაყრდნობით მ. ფალავა ასკვნის: „დარწმუნებული ვარ, ფორთა არაა ხანძისა“.

რამდენჯერმე იმეორებს კიდევც ამ აზრს: „ყველა მონაცემით, ხანძისა აწინდელი ნუკას საყდარია და არა ფორთა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს“ (64); „ფორთა არაა ხანძისა, ფორთა ფორთაა... აწინდელი ნუკა ხანძისა ოდინდელი (293); „ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის გათვალისწინებით, ხანძისა ნუკას საყდარია, შატბერდი – ენი რაბათი“ (66); „საფიქრებელია, აწინდელი ენი რაბათი ოდინდელი შატბერდია სახელმწიფო“ (65).

• მთელი წიგნი იმის დასტურია, რომ თურქეთის ქართველები არ არიან უცხონი, ისინი ჩვენებურები არიან, ჩვენი ენით, ბევრი ჩვენი ტრადიციით, სისხლითა და ხორციით. წინაპართაგან გადმოცემულ ამ საერთოს ვეძებთ, ეძებს ავტორი და პოულობს კიდევც. „ჩანაწერებში“ ხშირად გვხვდება შენიშვნა: ჩვენთანაც ასეა, აჭარამიც გამიგონია; საერთოა თქმულებები, იუმორი, ანექდოტიც კი. მაგრამ თითქოს ავტორს სხვისთვის, სხვა სოფლისათვის არ ემეტება ეს საერთო: პარალელს თავის სოფელთან ავლებს: „ჯინების შესახებ ანალოგიური თქმულება ჩემს სოფელშიც გამიგონია... ჩანს, მოარული ამბავია, თორემ სად მარხატეთი და სად ორთაბათუმი?“ თვითონვე პასუხობს ამ კითხვას იქვე: „თუმცა ისტორიულად ერთი რეგიონია და საერთოც ბევრია“ (211). ჩვენი მხრით დავუმატებთ: ასე რომ არ იყოს, ერთნი რომ არ ვიყოთ, როგორ შეძლებდნენ „ჩვენი დიდი დედები“ ორთაბათუმელთაგან „სესხად აეღოთ“ ხორუმის ერთ-ერთი ვარიანტი – ორთაბათუმური ხორუმი, „რომელიც ორთაბათუმში, და, როგორც ჩანს, მთელ საქართველოშიც დაივიწყეს, მაგრამ შეინახეს იგი ზიოსელემა, იმერხველებმა ზოგადად, ჩვენმა მოძიებმა ქსოროხის ხეობაში“ (33-34).

ეს სესხი, ეს ვალი ახლა, ამდენი ხნის შემდეგ ბატონ მამიას გამოათანეს მოვალეებმა მეფლისათვის – ორთაბათუმისათვის გადასაცემად.

შთამბეჭდავად არის გადმოცემული ეს ადგილი „ჩანაწერებში“:

„გამომოწვი ხმამალა აცხადებს: – ორთაბათუმელეო, თქვენიდან ჩვენმა დიდმა დედებმა მუზიკა ისესხეს და ახლანა დიგობრუნოთო“... დაუკრა... დაუკ-

რა ჩვენებური საცეკვაო... გვიბრუნებენ ამ ვალს და მე მატანებენ.

და მეც მივიღე ეს ვალი გახარებულმა და გაამაყებულმა.

მოვიდოდი და ვფიქრობდი... მიხაროდა, რომ აქ, იმერხვეის ამ მთის სოფელში, ჩემი წინაპრების ნაკვალევი აღმოვაჩინე. როგორც ჩანს, დასავიწყებლად არ ყოფილა გამეტყულები „ორთაბათუმურა“ საცეკვაო, ჩვენი ორთაბათუმური ხორუმი... ეს ჩემი წინაპრების ის „ვალი“ იყო, სიამოვნებით რომ დავიბრუნე“ (34).

განა მარტო „ჩანაწერების“ ავტორისთვის არის ეს საამაყო და გულის ამაჩუყებელი?

• „შავპური ჩანაწერები“ სამომავლო ამოცანებიც არის დასახული. ჯერ კიდევ ბევრი რამაა საკვლევი: იქნება ეს ზოგიერთი სიტყვის ფორმა თუ მნიშვნელობა, ვაზის ჯიშები (184), ბალახეულისაც კი (162), ტოპონიმთა ეტიმოლოგიები, მეტსახელები (188). შესასწავლია სხვა რამეც – დიდად მნიშვნელოვანი:

„ჩვენ ვლავარაკობთ თურქიზმებზე სამხრულ კილოებში, მაგრამ არაფერს ვამბობთ გურჯიზმებზე აქაურთა თურქულ მეტყველებში“ (235). საინტერესოა, აქაურთა თურქულმა მეტყველებამ თუ შემოინახა ქართული ელემენტო... ვფიქრობთ, ქართულის ნაკვალევი მომავალი კვლევით უნდა გამოვლინდეს“ (265).

ჩვენს გამოხმაურებას „ჩანაწერების“ იმ ადგილით ვამთავრებთ, სწორედ სამომავლო კვლევის ამოცანებს რომ ეხება:

„ჩვენი წინა თაობები ოცნებობდნენ ამ კუთხეში მოგზაურობაზე და იმის ნახვაზე, რაც ძველი ფოლიანტებიდან თუ სიგელ-გუჯრებიდან იცოდნენ... ჩვენს თაობას ისტორიული შანსი მიეცა, არა მარტო იმოგზაუროს ქსოროხის ქვეყნებში, დატკეპს აქაური ძეგლების სიდიადით, არამედ იზრუნოს მათზე, დროს გამოსტაცოს, გადაარჩინოს და მომავალ თაობას შეუნახოს, როგორც ნიშანი წინაპართა ტიტანური შრომისა და სულიერი ღვაწლისა. ამ შანსზე ჩვენმა თაობამ უარი არ უნდა თქვას...“ (238-239).

არ უნდა თქვას, რადგან „ბევრია საინტერესო ამ ხეობაში მკვლევრისათვის. ...შავშეთის მთებში შეხიზნულ სოფლებში ჯერ კიდევ მრავლადაა გადარჩენილი ქართული ყოფის ის ელემენტები, რომლებიც სხვა კუთხეებში დაკარგვას მიეცა და რომელიც გაგვიცოცხლებს ჩვენი წარსულის მივინყებულ ფურცლებს... მკვლევარს ელოდება აქაური ფოლკლორი, მეტყველება, ყოფა...“ (102-102); სოციოლინგვისტური სურათი ამ კუთხისა შესასწავლია, იგი მნიშვნელოვანია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც“ (307).

ჩვენი სათქმელიც ეს არის.

მერი ცინცაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

20 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფახსპურთში

ახმაურდა უნივერსიტეტის სასპორტო დარბაზი, მინება და კედლებზე გამოჩნდა საინფორმაციო ფურცლები, იმასთან დაკავშირებით, რომ დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფახსპურთში, ამ ფაქტის უფრო ფართოდ გაშუქების მიზნით კითხვით მივმართეთ ჩვენი უნივერსიტეტის ყოფილი იურიდიული ფაკულტეტის პირველ დეკანს, ამჟამინდელი იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სრულ პროფესორ ბატონ მურმან გორგოშაძეს.

– ბატონო მურმან, გარდა მინიფახსპურთისა, კიდევ რა ღონისძიებების გამართვას აპირებთ ამ თარიღის აღსანიშნავად?

– დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა ღო-

ნისძიებები, კერძოდ: სპორტული ღონისძიებები, რომელშიც მინიფახსპურთის გარდა გათვალისწინებულია ფრენბურთი და ჭადრაკი, სხვათაშორის სასპორტო ღონისძიებებში სტუდენტებთან ერთად და მათ გვერდით მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები.

გვინდა ჩავატაროთ სტუტენტთა ვიქტორინა თემაზე „იურიდიული განათლება საქართველოში“. ვიქტორინის ფარგლებში შედგება ოცი კითხვა (20 იმიტომ, რომ 20 წლისთავს ვზეიმობთ), რომელიც შეეხება საქართველოში იურისპრუდენციის განვითარების პრობლემებს, სტუდენტებს მივუთითებთ ლიტერატურას საიდანაც იქნება აღებული კითხვები.

დაგეგმილი გვაქვს ლექციების ციკლი „კურსდამთავრებული – სტუდენტს“, ამ

ციკლის ფარგლებში ის კურსდამთავრებულები, რომლებიც მუშაობენ ადვოკატებად, მოსამართლეებად, ნოტარიუსებად, პროკურორად, გამოძიებლად და სხვა სტრუქტურებში, სტუდენტებს გააცნობენ თავიანთ პრაქტიკაში ყველაზე საინტერესო საქმის დეტალებს.

გვინდა აგრეთვე ჩავატაროთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მოვიწვევთ სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებსაც.

სასწავლო წლის დასასრულისთვის ვგეგმავთ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „სამართლის სწავლება – გამოცდილება, პრობლემები, პერსპექტივები“.

განზრახული გვაქვს „საქართველოს სამართლის საფუძვლებში“ სახელმძღვა-

ნელოს მომზადება, ყოველ შემთხვევაში, მისი ერთი ნაწილის მაინც.

იუბილეს დაავიგვრებებს ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სხვადასხვა თაობის შეხვედრა საიუბილეო საღამოს სახით, რომელზეც წარვდგებით ჩვენი 20-წლიანი საქმიანობით.

რასაკვირველია, ეს ღონისძიებები გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გვერდში ამოგვიდგება და უნივერსიტეტის ერთ-ერთი საინტერესო სტრუქტურის – ყოფილი იურიდიული ფაკულტეტისა და ახლანდელი იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ოცი წლის იუბილეს ღირსეულად აღვნიშნავთ.



კასი, როგორც ვუყვარდი



ორმოციოდე დღის წინ, კიდევ ერთი კარგი ქართველი მიიბარა ქართულმა მიწამ, კიდევ ერთი კარგი ქართველი გამდიდრდა სასუფეველი სულთა.

გარდაიცვალა ჩვენს ქალაქში დაბადებული, ჩვენს ქალაქზე, ჩვენს კუთხეზე, ჩვენს უნივერსიტეტზე, ჩვენს სტუდენტებზე

შეყვარებული, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერი ლორია.

ბატონი ვალერი ლორია დაიბადა 1936 წლის 22 იანვარს ქ. ბათუმში. 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ბათუმის პირველი ვაჟთა საშუალო სკოლა.

ბატონი ვალერი ლორია 1960 წელს ამთავრებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, 1965 წელს კი ლენინგრადის (ცხლანდელი სანკტ-პეტერბურგი) სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურას და იმავე წელს, იქვე იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1977 წელს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადოქტორო დისერტაციას.

ბატონი ვალერი ლორია, 1960 წლიდან, 45 წლის განმავლობაში, – 2005 წლამდე, მის მშობლიურ უნივერსიტეტში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – მუხლჩაუხრელად მოღვაწეობს: ჯერ

ლაბორანტად, შემდეგ დოცენტად, პროფესორად. 1968-1970 წლებში იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მოადგილე, ხოლო 1970-1975 წლებში ამავე ფაკულტეტის დეკანი. 1989 წლიდან, სამართლის საფუძვლების, ხოლო 2002 წლიდან ახლადშექმნილი – ადმინისტრაციული სამართლის – კათედრის გამგე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, პროფესორი ვალერი ლორია, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მათ შორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2001-2004 წლებში იგი აქ კითხულობდა ლექციებს ადმინისტრაციული სამართლის პროცესში. მის ლექციებს დიდი ინტერესით ისმენდა ჩვენი სტუდენტობა. იგი აუცილებლად მიიჩნევდა თსუ-სა და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა დაახლოება-დამეგობრებას. ამ მიზნით მისი ხელმძღვანელობით არაერთხელ მიუხედავად სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში. პროფესორ ვალერი ლორიას აღზრდილი ჰყავს 15 მეცნიერი ადმინისტრაციული სამართლის დარგში.

გარდა საუნივერსიტეტო მოღვაწეობისა, თავის პროფესიონალიზმს, ბატონი ვალერი, სხვა მიმართულებითაც წარმართავდა: 1994-1995 წლებში იყო საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის შემუშავებელი სამთავრობო კომისიის წევრი; 1998-1999 წლებში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შემუშავებელი სამთავრობო კომისიის წევრი. ამ

კოდექსებთან დაკავშირებით 1999 წლის მაისში იგი გამოვიდა ექსპერტის როლში ევროპარლამენტში, სტრასბურგში, იმავე წლის ივნისში კი საქართველოს პარლამენტში მომხსენებლად.

2002 წელს მონაწილეობდა ადმინისტრაციულ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის ათენის ყრილობაზე, 2003 წელს – პოტსდამის კონფერენციაზე, ხოლო 2004 წელს – სტამბულის კონფერენციაზე. იყო საქართველოს პარლამენტის მონვეული სპეციალისტი. ქართულ, რუსულ, პოლონურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები: „ადმინისტრაციული პროცესი და მისი კოდეფიკაცია“ (1986წ.), „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“ (1972წ.), „ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევა და მისი საქმეთა წარმოება“ (1977 წ.) და სხვა.

პროფესორ ვალერი ლორიას სახელმძღვანელოებით დაუფლნენ ადმინისტრაციული სამართლის ნიუანსებს საქართველოს უახლესი პერიოდის ქართველი სტუდენტი-იურისტები. მისი სახელმძღვანელო „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“ შეესებოდა და გადაამუშავებული სახით რამდენჯერმე გამოიცა და პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში, დიდი ხნის განმავლობაში ერთდერთ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ხოლო მისი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“ (2002 წ.), ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი სახელმძღვანელოს შექმნის პირველ ცდას წარმოადგენდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ვალერი ლორია არის ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების ფუძემდებელი საქართვე-

ლოში. მის სამეცნიერო მიღწევებზე ითვლება ადმინისტრაციული წარმოების სახეების ჩამოყალიბების კანონზომიერების მიგნება-ახსნა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავების დადგენა სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისგან.

როფესორ ვალერი ლორიას ნაღვანის სიცოცხლეშივე აღიარებდა უნდა ჩაითვალოს მისი ადმინისტრაციული მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის (ქ. ბრიუსელი) წევრად არჩევა, საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიისა და ივანე ჯავახიშვილის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა, ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედალით დაჯილდოება, მაგრამ მისი ღვაწლის შესწავლა და ჯეროვანი დაფასება მომავლის საქმეა. ღრმად ვართ დაწინაურებული, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს ბატონი ვალერის გაზრდილ-აზრდილები ამ საქმეს პირნათლად გაართმევენ თავს.

წავიდა კაცი, რომლის სტუმრობას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არასოდეს ჩაუვლია ცოდნის ზემის, მოფერებისა და ჭიქა ღვინის გარეშე.

დავკარგეთ კაცი, რომელსაც ვუყვარდით, კაცი, რომელიც გვეიმედებოდა, კაცი, რომელიც დაგვაკლდებოდა და მოგვენატრება.

ღმერთო, დიდებულო, ნათელში ამყოფე მისი სული!

რუს-იურიდიულ-მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები: მურმან გორგოშაძე, ნუგზარ ფუტყარაძე, ვაჟა ხახუტაიშვილი, ომარ ფარტენაძე, ადამ მახარაძე, ომარ მახარაძე, დავით გაბაიძე, გივი აბაშიძე, რაფინ ფუტყარაძე, მირიან ქათამაძე, ლევან ჯაველი, კახა ფალავანდიშვილი, ზურაბ კვიციანი, ბაკურ ლილუაშვილი

ლაუზიწყარი

საქართველოს მოუკვდა დიდი მწერალი და მოაზროვნე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი, ქართული პროზის რაინდი, ოტია იოსელიანი. ის ორიგინალური მოვლენა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ვინც სიცოცხლეშივე აღიარა მაღლიერმა მკითხველმა კლასიკოსად.

ორიგინალური იყო ოტია იოსელიანი, როგორც მხატვარი და როგორც ადამიანი. მწერალი ისე ცხოვრობდა, როგორც წერდა. ამიტომ ყველა მიჩვეული ვიყავით მის კატეგორიულობას, პრინციპულობას, შეუვრცხვობას. როცა ქართველ კაცს მამის სახელი და ეროვნების დასახელება გაუუქმეს პირადობის მოწმობაში, ოტია იოსელიანის თხზულებათა ათტომულზე გაჩნდა ავტორის ვინაობის წარდგენის ორიგინალური ფორმა – „ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე... იოსელიანი“ ამით მწერალმა ის თქვა, რასაც გრძობს (უნდა გრძნობდეს) ტრადიციულ აღზრდილი ქართველი კაცი, ვისაც წინაპართა ხსოვნა თავის პირად ღირსებად მიაჩნია.

ოტია იოსელიანის სახელი პირველი ნიმუშების გამოქვეყნებისთანავე გახდა პოპულარული მკითხველთა შორის. ხოლო პირველი რომანით „ვარსკვლავთციცენა“ მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მწერლობაში.

სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო მწერლის ცხოვრებაში მისი თხზულების ათტომეულის გამოცემით. ამ გამოცემაში თავი მოიყარა მწერლის ყველა ღირებულმა ლიტერატულმა ქმნილებამ და მკითხველმაც აუღელავათოდ უსწრაფ მწერალს ცოცხალი კლასიკოსი. 2007 წელს სპეციალუ-

რად შევედექი ოტია იოსელიანის შემოქმედების შესწავლას მისი თხზულებების ათტომეულის საფუძველზე. 2008-2010 წლებში გამოქვეყნდა ათი ნერილი პროზისა და პოეზიის, ხოლო სამი ნერილი პედაგოგიური შეხედულებების თემებზე. მწერალი, ცხადია, გულდასმით ეცნობოდა ამ ნერილებს და 2009 წლის გაზაფხულზე დამირეკა და თანხმობა მოხოვა მისი ცნობილი „ჩემი ასავალ-დასავალი“ ახალი გამოცემისათვის ჩემი პირველი ნერილის თანდართვის შესახებ. 2009 წელს გამოვიდა ეს წიგნი, რომელსაც წინ უძღვის ჩვენი ნაშრომი „ოტია იოსელიანის „ასავალ-დასავალი“. 2010 წელს გამოქვეყნდა მწერლის „ჩვეულები“. ამ ტომის ბოლოში აქვს დართული „ადამიანური შესაძლებლობათა უსაზღვროება“ (ნერილი მეორე). ეს იყო ჩემთვის უდიდესი ბედნიერება-ოტია იოსელიანის მოეწონა ჩემი ნერილები! შემდეგ იყო პირველი შეხვედრები. ორჯერ სპეციალურად მოვაშაზე ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტთა ვგავებში და შეხვედრებში მწერალს წყალტუბო-გვიშტიბში. სტუდენტები დიდი სიყვარულით სწავლობდნენ მწერლის შემოქმედებას. ეს შეხვედრები იწყებოდა ჩემი განცხადება-წარდგინებით: „ბატონო ოტია, დღეს თქვენთან მოვიდნენ ბათუმელი სტუდენტები არა როგორც მომკითხველები, არამედ როგორც მკითხველები“. ამ სიტყვების მოსმენაზე წამით შეჩერდებოდა, დაკვირვებით გადავავლებდა თვალს სტუდენტებს, მაგრამ შემდეგ მაინც გულისტკივილით განაგრძობდა თავის სათქმელს „ახლა არავინ კითხულობს წიგნს“. ამას მოყვებოდა კონკრეტული შეფასება საქართველოში წიგნის და მკითხველის ბედის შესახებ; და იტყო-

და: რაც კაცობრიობას უაზროვნია, წიგნშია მოქცეული. თუ არ წავიკითხავთ, დავბრუნდებით გამოქვეყნებულში.

განსაკუთრებული სიხარული მივანიჭეთ საყვარელ მწერალს მეორე სტუმრობის დროს 2010 წლის ოქტომბერში. ბატონ ოტიას მოვახსენე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ოცკაციანი ჯგუფის მიერ ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტის ზეპირად დასწავლის მიმდინარეობის შესახებ. შემდეგ სტუდენტებმა ზეპირად წარმოთქვეს პოემის შესავალი ნაწილი. წარმოუდგენელი სიხარული იკითხებოდა ბატონი ოტიას სახეზე და კმაყოფილება განაცხადა; ამაზე უკეთესი საჩუქარი ჩემთვის დღემდე არავის მოუძღვნია. კიდევ უფრო გაიხარა, როცა ვუთხარით, რომ სტუდენტთა ეს ჯგუფი ყოველი წლის 19 მაისს ბათუმის უნივერსიტეტში გამართავდნენ ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტის ზეპირად კითხვის ლიტერატულ საღამოს. შეხვედრას ესწრებოდნენ ქუთაისიდან, პოეტი ზაალ ებანიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ჭუმბურიძე, ბათუმიდან პოეტი და პროფესორი შოთა ზოიძე და პროფესორი რამაზ ხალვაში.

უკიდურესი გართულება ჰქონდა ჩემს სახელთან დაკავშირებით. არც მე და არც საქართველოს სახალხო არტისტს, ბათუმის თეატრის მსახიობ იური ცანავას „იურის“ არ გვეცხობდა. „თქვენ ქართველები ხართ, რათ გინდათ რუსული სახელები, დეილია საქართველოში თქვენი შესაფერი სახელი?“ და ორივეს გიორგი შევავრქვა. 2009 წელს საჩუქრად გამომიგზავნა მისი საუკეთესოდ გამოცემული ათტომეული ასეთი წარწერით: „ბატონ გიორგი (იურა) ბიბილიევი! ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობის სანდო-დარად...იმედით, რწმენით, მაღლიერებით ოტია



იოსელიანი, 14.11.2009. წყალტუბო-გვიშტიბი.

2010 წელს ანალოგიური გულთბილი წარწერით გამომიგზავნა ახალი რჩეული, მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა 2011 წლის 28 მაისს გამოგზავნილ წიგნზე „ქალი მაინც ქალია“ გაკეთებულმა წარწერამ. მასში სრულიად აისახა პოეტ თეიმურაზ ლანჩავას ლექსში „ოტია“ დახატული რეალისტური სახე ნერილისა, რომელიც „ისე გვემუსაიფება თითქოს ტოლთან იჯდეს ტოლი“ უსტყობდა ასეთი განწყობილება დამოუფლო როცა წავიკითხე: „ბატონ გიორგი (იური) ბიბილიევი! ჩვენი მეგობრობა საქართველოს სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლაა. ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი...იმედით, რწმენით ოტია იოსელიანი, 28.05.2011. წყალტუბო-გვიშტიბი. ასე მხოლოდ ჭეშმარიტად დიდი ადამიანები გამოხატავენ თავიანთ თანადგომას უბრალო მოკვდავებში.

დაუფიწყარი ოტია იოსელიანი მაღალზნეობრივი ადამიანობის ნიმუშის მნიშვნელობით განაგრძობს სიცოცხლეს ჩემს გულში.

იური გიბილიევი

შოთა ზოიძე

სიტყვა თქვენი ოტია იოსელიანის ღაქრქალვაზე, გალათის საკათედრო ტაძრიდან გამოსვლების შემდეგ, სოფელ გვიშტიბში, 2011 წლის 19 ივლისს

19 ივლისს მშობლიურმა მიწამ მიიბარა გამოჩენილი ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი. ვთავაზობთ სამგლოვიარო მიტინგზე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ ემირიტუსის, პოეტ შოთა ზოიძის სიტყვას.

ძვირფასო მეგობრებო! კიდევ ერთი სახალხო მწერალი გადავიდა წუთისოფლიდან მარადისობაში. გადავიდა იმ წინაპართა საუფლოში, რომლებსა ანდერძი გულში ჰქონდა ამოტიფრული. ეს ანდერძია: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იბრძოლა და იღვანა ღვთისდადანი კალმით ისე, რომ ილიას ანდერძიდან წამითაც არ გადაუხვევია, ყველგან და ყოველთვის მშობლიური ენისა და სარწმუნოების გულანთებული ჭირისუფალი იყო. აპოკალიფსური რეჟიმებისათვის, ზოგიერთი მისი კოლეგისაგან განსხვავებით, ხარკი არასოდეს გადაუხდია, იგი ყველგან და ყოველთვის ერთი და განუყოფელი ოტია იოსელიანი იყო.

მე და ძვირფასი ოტია მუდმივად თანამოსაუბრენი ვიყავით. ბოლო დღეებში, როცა უკურნებელმა სენმა ხელი დარია და მიძიმე ხორციელი ტკივილები სულს უხუთავდა, საკუთარ ტკივილზე სიტყვაც არ დასცდენია. ამ უძიმე დღეებშიც

სამშობლო სტკიოდა, ენა და სარწმუნოება სტკიოდა, უცხოეთში გადახვეწილი მილიონობით ქართველი სტკიოდა, სტკიოდა მშობლიური ენის კონსტიტუციური უფლებების შელახვა, უცხოეთიდან კულტივირებული და მოძალადეული უზენოობა, გარყვნილება, წარკოწმარა, უზრდელობა სტკიოდა. ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა დარდი, ვარაზი და მწუხარება მის სულსა და სხეულში დაეზღა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეფონით ვესაუბრე. უჭირდა, სიტყვა უწყდებოდა, ახლაც ქვეყნის სატკივარზე წუხდა. რა ამბავია ამდენი მედრესე-ინტერნატი და მეჩვითი რომ იხსენებ აჭარაში, სად არის ბათუმის ინტელიგენცია, სად არის აჭარის ხელისუფლება და, საერთოდ, სად ხართ, ხმას რატომ არ იღებთ, ნუთუ აჭარაში აჭარლებს აღარაფერი ვეკითხებოდით, პირდაპირ და სამართლიანი საყვადურებით ამავესო.

ამ საყვედურებისათვის ძვირფას ოტიას, არა მარტო ჩემი, მთელი აჭარის სამადლობელი ეკუთვნის.

„ვარსკვლავთციცენა“ რომ გამოვიდა, სრულიად ყმაწვილი ვიყავი. დიდი და მიძიმე ომისდროინდელი ერთი ქართული სოფლის სურათებით თვალში საკაცობრიო პობლებში გადავიგვიშ-

ლა. ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მისმა ნოველებმა გამოჩენილი ბორის პასტერნაკიც კი აღაფრთოვანა და ალაპარაკა. რაც შეეხება გენიალური „დაჩის ზღაპრებს“, მათი ავტორი, ჩემი თვალსაზრისით, მსოფლიოს გამოჩენილ მეზღაპრეთა თანავარსკვლავედში მოჩანს. მწერალი გურამ ბათიაშვილი მკარნახობს, რომ პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მსოფლიოს 140 თეატრში დაიდგაო. დასაწავია, რომ ამ შედევრების ავტორს დღეს რუსთაველის პრემიის გარეშე მივაბარებთ მინას. ესეც ქართული სინდრომი! 2000 წელს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრებმა შავი კენჭები ჩაუყარეს. მაშინ მეც გახლდით კომიტეტის წევრი და კარგად მახსოვს ეს სამზარეულო. კენჭისყრის შედეგები დიდებულმა ანზორ ერქომაიშვილმა, თამაზ ნივინიძემ და მე გავაზარტესტეთ. იმათ მაგიერ, რომლებმაც შავი კენჭები ჩაუყარეს, მე ვუხდი ბოდიშს ძვირფასი ოტიას მაღალ სულსა და გაკულპატრებულ ცხედარს. თავად მას ერთი საყვედურიც არ დასცდენია. ისტორიამ სხვა პარადოქსიც იცის: 1912 წელს აკაკი წერეთელმა კენჭი იყარა საჩხერეს საკრებულოში. საჩხერელებმაც გააშვეს ჭალარით მოსილი მგოსანი, საკრებულოში ვინმე ბუცხრიკიძე არჩიეს.

სანუგუმო ის არის, რომ ძვირფას ოტიას თან მიაქვს ყველაზე მაღალი ჯილდო, რომლის ბადალი არ არსებობს დედამიწის ზურგზე და რომელიც სიზმარულ კი არ მოელანდება რუსთაველის პრემიის არაერთ მაღურეაქსს, ეს არის ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული, აღიარება და პატივისცემა. ამ ჯილდოს მხოლოდ და მხოლოდ უფალი ანიჭებს შემოქმედს და აქ კონიუქტურა გამოირცხლება.

იმ ადგილას, სადაც დღეს ოტია დაიკრძალა, უფლის ნათელი მოეფინება. იმერეთში, საქართველოს ამ ღვთისკურთხეულ მხარეთში, დღეიდან აღმოცენდება მთაწმინდის პანთეონის ფილიალი. სადაც ოტია იოსელიანი დაიკრძალა, იქ არის მისი მთაწმინდა.

ოტია იოსელიანი სახალხო მწერალი იყო. დავით კლდიაშვილის შემდეგ არცერთ პროზაიკოსს არ ჰქონია იმოდენა სახალხო აღიარება და საყოველთაო სიყვარული, რამდენიც ოტია იოსელიანს ჰქონდა. ამიტომაც მინდა დავემშვიდობო გენიალური ხალხური ლექსის სტრუქტურის მიეროღენი პერიფრაზით: ხალხის იყო, რაც კი იყო, გვიყვარდა და გვიყვარს დღესაც, აქაც დიდი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგეს!



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82 ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti@mail.ru

ბ ა დ ა ნ ე წ ე მ ი ტ ი ლ ე მ ა №04

ქ. ბათუმი

29 სექტემბერი, 2011 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ-ს წესდების მე-10 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

ბ ა დ ა ნ ე წ ე მ ი ტ ა

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი (დანართი 1).

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 3 დეკემბრის №04 და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სასწავლო წლის სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 18 თებერვლის №05 გადაწყვეტილებები;

გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“; გადაწყვეტილება ძალაშია 2011–12 სასწავლო წლიდან.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი სპიკერი

/კ. ქაშიბაძე/

დანართი 1

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

თავი I.

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი არეგულირებს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში რსუ-ს) სტუდენტთათვის რსუ-ს სტიპენდიების დანიშვნასა და გაცემას; რსუ-ს სტიპენდიები ენიშნება:

ა) რსუ-ს ბაკალავრიატის პირველი სასწავლო წლის იმ სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდებით სწავლის გაგრძელებას უფლებას მოიპოვებენ განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) პირველი ნომრად მითითებულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე და, ამასთან, ვისაც მეოთხე დამატებით გამოცდაზე მიღებული აქვს ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (საკლირებული) ქულა. სტიპენდია (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) გაცემა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში 1 ოქტომბრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდში.

ბ) „ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსისათვის“ (ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) რსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება არანაკლებ „ძალიან კარგი“-სა).

გ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) რსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება „ფრიადი“).

დ) „სახელობითი სტიპენდია“ (ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) რსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვთ შეფასება „ფრიადი“ და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

ჩვეულებრივი და სახელობითი სტიპენდიები გაცემა სემესტრულად - აგვისტოდან თებერვლის და მარტიდან - ივლისის ჩათვლით პერიოდში.

პირველი სასწავლო წლის სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 10 სტუდენტი;
ბ) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე – 3 სტუდენტი;
გ) საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე – 6 სტუდენტი;
დ) აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტზე – 9 სტუდენტი;
ე) ტურიზმის ფაკულტეტზე – 2 სტუდენტი.

რსუ-ს თითოეულ ფაკულტეტზე სახელობით სტიპენდიანტთა რაოდენობას და სტიპენდიის დასახელებას განსაზღვრავს რსუ-ს აკადემიური საბჭო შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

რსუ-ს სტიპენდიები არ ენიშნება:

- ა) რსუ-ს მიმართ ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტს (პირს, რომელმაც დადგინდა ვადაში ვერ გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია);
ბ) სტუდენტს, რომელსაც რსულად არა აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული კრედიტები (გარდა გაცვლითი პროგრამიდან დაბრუნებული სტუდენტისა, პროგრამებს შორის განსხვავებული კრედიტების ასათვისებლად ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული გრაფიკის ამონუშვამდე);
სტუდენტს, მათ შორის სახელმწიფო სტიპენდიანტს, ერთდროულად ორი სხვადასხვა ან ერთი-დამოუკიდებელი სახის სტიპენდია არ დაენიშნება, ხოლო თუკი დანიშნული აქვს - მასზე გაცემა იმ სახის სტიპენდია, რომელსაც თავად სტუდენტი აირჩევს.

თავი II.

სახელობითი სტიპენდია

მუხლი 2. სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება

სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, კონკურსს აცხადებს ფაკულტეტის საბჭო. განაცხადება უნდა გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე ან/და ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე განაცხადების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 07 დღით ადრე, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი.

საკონკურსო განაცხადებების მიღება იწარმოებს 07 დღის განმავლობაში, კონკურსი კი ჩატარდება კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

კონკურსის გამოცხადების შესახებ განაცხადება უნდა შეიცავდეს:

- ა) კონკურსის პირობებს;
ბ) კონკურსანტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;
გ) წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხას და პირობებს;
დ) განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის) წარმოდგენის ვადასა და ადგილს;
4. საკონკურსო დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა მოიცავდეს:
ა) განაცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2);
ბ) სტუდენტის სასწავლო-სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV) (დანართი 3);
გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის (ორალური, სტენდური მოხსენება) დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სტიფიკატის და სხვ. დედანს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- დ) პირადობის მონომობის ასლს;
ე) ცნობას სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ;
ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის დედანს ან დამოწმებულ ასლს;
ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას რსუ-ს იმ პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას;

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. კონკურსანტთა განაცხადებისა და დოკუმენტების განხილვის მიზნით, რექტორის მიერ იქმნება საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანები და თითოეული ფაკულტეტიდან სტუდენტური თვითმმართველობის ერთი წევრი (სტუდენტი). შესაძლებელია კომისიის წევრად მონაწილე იქნეს სხვა პირი (ექსპერტი) სათათბირო ხმის უფლებით.

2. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორის მოადგილე, ხოლო მდივანი აირჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.

3. კომისიის სხდომა იმართება გამოცხადებული კონკურსის ვადების შესაბამისად. გადანაცვლებულა კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს კომისიის როგარევე სხდომა.

4. კომისიის სხდომებს ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

6. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აირჩევა ასევე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.

7. საკონკურსო კომისია:

7.1. ისმენს ფაკულტეტების მდივანების მოხსენებას შემოსული საკონკურსო განაცხადებისა და დოკუმენტაციის შესახებ და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს მათ;

7.2. ამოწმებს:

- ა) სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი;
ბ) არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი შედგენილი შესაბამისი ფორმისა და რეკვიზიტების დაცვით (უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, საჭიროების შემთხვევაში ბეჭდით დამოწმება, თარიღის მითითება და სხვა);
გ) შეესაბამება თუ არა საკონკურსო დოკუმენტაციის მონაცემები ამ წესის მოთხოვნებს.

7.3. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება (არ შეფასდება) შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ კონკურსანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია;
ბ) თუ პრეტენდენტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.)

7.4. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები (დოკუმენტები) არ შეესაბამება სინამდვილეს (ყალბი აღმოჩნდა), რაც დასტურდება რსუ-ში არსებული ვარკვეული სახის მტკიცებულებებით.

დ) თუ პრეტენდენტს დანიშნული აქვს რომელიმე სახის სტიპენდია;

ე) თუ პრეტენდენტს აქვს ფინანსური დავალიანება;

7.5. შემოწმების პროცედურის დასრულების შემდგომ კომისია ადგენს იმ განაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციების) სიას, რომლებიც ამ წესის მოთხოვნათა შესაბამისად არ ექვემდებარება განხილვას. აღნიშნული სია კომისიის სხდომის დასრულებისთანავე გამოქვეყნდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე, რის შესახებაც ეცნობება რსუ-ს რექტორს;

7.6. ამ წესითა და კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტით განსაზღვრულ ვადებში კომისია აფასებს განხილვას დაქვემდებარებული განაცხადებებს (საკონკურსო დოკუმენტაციებს) და კონკურსის შედეგს (გადაწყვეტილებას) წარუდგენს რსუ-ს რექტორს.

მუხლი 4. საკონკურსო განაცხადების და დოკუმენტაციის წარდგენის წესი

1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საკონკურსო განაცხადი და დოკუმენტაცია ერთ გზეშემწარად;

2. საკონკურსო განაცხადების (დოკუმენტაციის) მიღებასა და რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის მითითებით) აწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტის მდივანი, რომელიც საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ მათ გადასცემს საკონკურსო კომისიის მდივანს.

3. თითოეულ პრეტენდენტს (კონკურსანტს) აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენის უფლება.

4. საკონკურსო დოკუმენტაციის წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კონკურსანტი.

5. საკონკურსო დოკუმენტაცია მდივანს ბარდება დანომრილი სახით. ამასთან, განაცხადებაში უნდა მითითდეს თანდართული საკონკურსო დოკუმენტაციის ფურცლების რაოდენობა.

6. განაცხადი (საკონკურსო დოკუმენტაცია) მდივანს მიეზღება მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შესახებ რსუ-ს აქტით განსაზღვრულ ვადაში.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს განაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციის) მიღების ვადის დასრულებამდე წარმოადგინოს განაცხადში (საკონკურსო დოკუმენტაციაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე განაცხადება.

მუხლი 5. კომისიის გადანაცვლება და სახელობითი სტიპენდიის გაცემა

1. კომისია თითოეულ კონკურსანტს აფასებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

2. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიის გადანაცვლება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4. კომისიის გადანაცვლების საფუძველზე რსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

5. სტიპენდიის გაცემის საფუძველზე წარმოდგენს რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება სახელობითი სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

თავი III.

ჩვეულებრივი სტიპენდიები და სტიპენდია პირველი სასწავლო წლის სტუდენტთათვის

მუხლი 6. სტიპენდიების დანიშვნა

1. სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, შესაბამისი ფაკულტეტების დეკანების მიერ მონაწილეობის მონაცემებისა და ამ წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ თავით განსაზღვრული სტიპენდიების დანიშვნის შესახებ.

2. ფაკულტეტების დეკანების მიერ მონაწილეობის მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) პირველი სასწავლო წლის სტიპენდიანტობის კანდიდატ სტუდენტთა სია;
ბ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ მიღებ კანდიდატთა სია;
გ) „ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსისათვის“ მიღებ კანდიდატთა სია;
3. რექტორის ბრძანების საფუძველზე რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას წარჩინებულ სტუდენტთათვის ჩვეულებრივი სტიპენდიის გაცემის შესახებ.

მუხლი 7. სტიპენდიის გაცემის შეწყვეტა

1. ფაკულტეტის დეკანის ან რსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მონაწილეობის ინფორმაციის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტიპენდიანტისათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე აქტის ძალადაკარგულად/ზათილად ცნობის შესახებ, თუ აღმოჩნდება, რომ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ რექტორის აქტის მომზადების დროისათვის ან/და დანიშვნის შემდეგ პერიოდში სტუდენტი ვერ აკმაყოფილებდა სტიპენდიის დანიშვნისათვის ან წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ წარდგენილ მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.

დანართი 1

კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტაციის საკონტროლო ნუსხა



Table with 4 columns: No., Description of documents, Number of documents, and Status. Rows include CV, application forms, and other documents.

შენიშვნა: მე-2 გრაფაში აღნიშნული დოკუმენტების დამონება შესაძლებელია შესაბამისი საუნივერსიტეტო სამსახურების მიერ, თუკი სამეცნიერო კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ. ღონისძიება ჩატარდა რსუ-ში, ხოლო დოკუმენტის დედნის წარმოდგენის შემთხვევაში არ არის საკვალი დოკუმენტის მიერ დამონებული ასლის წარმოდგენა.

დანართი 2

განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ალიოზა ბაკურიძეს

Table with 2 columns: No. and Description of documents. Rows include application form, passport photo, and other required documents.

მოგახსენებთ, რომ გავეცანი რა რსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესს, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი განცხადება სახელმწიფო სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში.

- განცხადებას თან ერთვის: 1) პირადობის მოწმობის ასლი; 2) ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ; 3) სტუდენტის სასწავლო/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV); 4) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის შესახებ აღწერილობა.

ლეობის დამადასტურებელი დიპლომი, სიგელი, სტიპენდიის და სხვ. დედანი/ნოტარიულად დამონებული ასლი ---- ფურცელი; (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 5) გამოქვეყნებული ნაშრომების ასლები ---- ფურცელი; 6) სარეკომენდაციო წერილი; ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მონაწილეობის ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, თანხმობას ვაცხადებ : ა) რსუ-მ ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მონაწილეობის ინფორმაციის სიზუსტე. ბ) არასწორი ან ყალბი მონაცემების (დოკუმენტაციის) დადგენის (აღმოჩენის) შემთხვევაში ჩემი განაცხადი არ განიხილოს საკონკურსო კომისიამ ან თუ დანიშნული მექნება სტიპენდია, შემიწყდეს ვადაზე ადრე.

განმცხადებლის ხელმოწერა: თარიღი:

დანართი 3

სასწავლო/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV)

1. სახელი, გვარი

2. ფაკულტეტი

Table with 4 columns: No., Name, Faculty, and Phone number.

3. სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებები:

Table with 4 columns: No., Semester, Average grade, and Phone number.

4. უბლიკაციების რაოდენობა: _____, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ფურნალში (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)

5. უბლიკაციების ჩამონათვალი კონკურსანტის შეხვედრისასამებრ

Table with 5 columns: No., Name, Number of publications, Impact factor, and Journal name.

6. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

Table with 4 columns: No., Name, Number of conferences, and Journal name.

7. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებ

ხელმოწერა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82 ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti@mail.ru

გ ა დ ა ნ ე წ ე მ ი ლ ი ბ ა № 05

ქ.ბათუმი 29 სექტემბერი, 2011 წელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ-ს წესდების მე-10 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა ნ ე წ ე მ ი ლ ი ბ ა

დამტკიცდეს „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი“ (დანართი 1).

ქალაქ ბათუმში, 2011 წლის 29 სექტემბერი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 ივლისის №4 გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“; გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

/კ.ქაშიბაძე/

დანართი 1

სსიპ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

თავი I.

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი არეგულირებს სსიპ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში რსუ-ს) სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის ოთხი, 355 ლარის ოდენობით სტიპენდიების (შემდეგში „სტიპენდია“) დანიშვნასა და გაცემას;

„სტიპენდიის“ დანიშვნა გამოიწვევს რსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტთა ნახალისებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები და გამოიწვევს სწავლაში კარგი წარმატებებით (შეფასებები 81 ქულა და მეტი).

სტიპენდია სტუდენტს ენიშნება სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ გასული სასწავლო წლის (წლების) განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში მიღებული აქვს შეფასება „კარგი“ (შეფასებები 81 ქულა და მეტი).

სტიპენდიის მისაღები პერიოდი მოიცავს შესაბამისი სასწავლო წლის ოქტომბრიდან ივლისის ჩათ-

ვლით პერიოდს.

სტიპენდია არ ენიშნება:

- ა) რსუ-ს სტატუსსაშერებულ სტუდენტს; ბ) სტუდენტს, რომელსაც სრულად არა აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული კრედიტები (გარდა გაცვლითი პროგრამიდან დაბრუნებული სტუდენტისა, პროგრამებს შორის განსხვავებული კრედიტების ასათვისებლად ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული განრიგის ამონაწერამდე); გ) სტუდენტს, მათ შორის სახელმწიფო სტიპენდიანტს, ერთდროულად ორი სხვადასხვა ან ერთი და იმავე სახის სტიპენდია არ დაენიშნება, ხოლო თუკი დანიშნული აქვს - მასზე გაიცემა იმ სახის სტიპენდია, რომელსაც თავად სტუდენტი აირჩევს.

თავი II.

სტიპენდია

მუხლი 2. სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება

1. სტიპენდიების მოსაპოვებლად სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა კონკურსის აცხადებს ფაკულტეტის საბჭო. განცხადება უნდა გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე ან/და ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე განაცხადების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 07 დღით ადრე, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი.

2. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს 07 დღის განმავლობაში, კონკურსი კი ჩატარდება კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ა) კონკურსის პირობებს; ბ) კონკურსანტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს; გ) წარმომადგენელი საკონკურსო დოკუმენტაციის წესსა და პირობებს; დ) განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის) წარმოდგენის ვადასა და ადგილს; ე) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების წარმოდგენის უფლება აქვს ამ წესის პირველი მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად რსუ-ს სტუდენტს, სწავლების მეორე წლიდან, თუ არის სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენელი და სტიპენდიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 81 და მეტი ქულა; ვ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის `გ` ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა მოიცავდეს:

- ა) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2); ბ) სტუდენტის სასწავლო-სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV) (დანართი 3); გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერთიფიკატის და სხვ. დედანს ან ნოტარიულად დამონებულ ასლს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) პირადობის მოწმობის ასლს; ე) ცნობას სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ; ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის დედანს ან დამონებულ ასლს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას რსუ-ს იმ პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. თ) სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლობის დამადასტურებელი ცნობას, გაცემული შესაბამისი სამსახურის მიერ;

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. კონკურსანტთა განაცხადებისა და დოკუმენტების განხილვა მოხდება რექტორის მიერ რსუ-ს სტიპენდიების მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურ-



სო კომისიის მიერ.

2. კომისიის თავმჯდომარეობს რექტორის მოადგილე, ხოლო მდივანი აირჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.

3. კომისიის სხდომა იმართება გამოცხადებული კონკურსის ვადების შესაბამისად. გადაწყვეტილება კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს კომისიის რიგგარეშე სხდომა.

4. კომისიის სხდომებს ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

6. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აირჩევა ასევე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.

7. საკონკურსო კომისია:

7.1. ისმენს ფაკულტეტების მდივნების მოხსენებას შემოსული საკონკურსო განცხადებებისა და დოკუმენტაციის შესახებ და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს მათ;

7.2. ამონებს:

ა) სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი;

ბ) არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი შედგენილი შესაბამისი ფორმისა და რეკვიზიტების დაცვით (უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, საჭიროების შემთხვევაში ბეჭდით დამოწმება, თარიღის მითითება და სხვა);

გ) შესაბამეა თუ არა საკონკურსო დოკუმენტაციის მონაცემები ამ წესის მოთხოვნებს.

7.3. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება (არ შეფასდება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კონკურსანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია;

ბ) თუ პრეტენდენტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.);

გ) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები (დოკუმენტები) არ შეესაბამება სინამდვილეს (ყალბი აღმოჩნდა), რაც დასტურდება რსუ-ში არსებული გარკვეული სახის მტკიცებულებებით.

დ) თუ პრეტენდენტს დანიშნული აქვს რომელიმე სახის სტიპენდია;

ე) თუ პრეტენდენტს შეჩერებული აქვს რსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

7.4. შემონების პროცედურის დასრულების შემდგომ კომისია ადგენს იმ განაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციების) სიას, რომლებიც ამ წესის მოთხოვნათა შესაბამისად არ ექვემდებარება განხილვას. აღნიშნული სია კომისიის სხდომის დასრულებისთანავე გამოქვეყნდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე, რის შესახებაც ეცნობება რსუ-ს რექტორს;

7.5. ამ წესითა და კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტივ განსაზღვრულ ვადებში კომისია აფასებს განხილვას დაქვემდებარებულ განცხადებებს (საკონკურსო დოკუმენტაციებს) და კონკურსის შედეგს (გადაწყვეტილებას) წარუდგენს რსუ-ს რექტორს.

მუხლი 4. საკონკურსო განცხადების და დოკუმენტაციის წარდგენის წესი

1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საკონკურსო განაცხადი და დოკუმენტაცია ერთ ეგზემპლარად;

2. საკონკურსო განცხადებების (დოკუმენტაციის) მიღებასა და რეგისტრაციას (მიღების თარიღისა და დროის მითითებით) აწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტის მდივანი, რომელიც საკონკურსო განცხადებების მიღების ვადის დასრულების შემდეგ მათ გადასცემს საკონკურსო კომისიის მდივანს.

3. თითოეულ პრეტენდენტს (კონკურსანტს) აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენის უფლება.

4. საკონკურსო დოკუმენტაციის წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კონკურსანტი.

5. საკონკურსო დოკუმენტაცია მდივანს ბარდება დანომრილი სახით. ამასთან, განცხადებაში უნდა მიეთითოს თანდართული საკონკურსო დოკუმენტაციის ფურცლების რაოდენობა.

6. განაცხადი (საკონკურსო დოკუმენტაცია) მდივანს მიერ მიიღება მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შესახებ რსუ-ს აქტით განსაზღვრულ ვადაში.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს განაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციის) მიღების ვადის დასრულებამდე წარმოადგინოს განაცხადში (საკონკურსო დოკუმენტაციაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე განცხადება.

მუხლი 5. კომისიის გადაწყვეტილება და სტიპენდიის გაცემა

1. კომისია თითოეულ კონკურსანტს აფასებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

2. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე რსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

5. სტიპენდიის გაცემის საფუძველს წარმოადგენს რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

მუხლი 6. სტიპენდიის გაცემის შეწყვეტა

1. ფაკულტეტის დეკანის ან რსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტიპენდიანტისათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე აქტის ძალადაკარგულად/ბათილად ცნობის შესახებ, თუ აღმოჩნდება, რომ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ რექტორის აქტის მომზადების დროისათვის ან/და დანიშვნის შემდეგ პერიოდში სტუდენტი ვერ აკმაყოფილებდა სტიპენდიის დანიშვნისათვის ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ წარდგენილ მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.

დანართი

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ----- 2010 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35) (შემდეგში - „შემონირულობის მიმღები“) წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის სახით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დავით ლეკვიძის სახით და ავთანდილ ბარათაშვილი (ეროვნებით ქართველი, რუსეთის მოქალაქე, დაბ. ხულოს რაიონის სოფელ რაქეთში, საჯარო კომპანია „მეტალისტის“ გენერალური დირექტორი) (შემდეგში „შემონირულობის გამცემი“), დებს წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

რსუ-ს ოთხი სტუდენტისათვის 2010-2011 სასწავლო წლის განმავლობაში „ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის“ დაწესება და მისი გაცემისათვის რსუ-ს ანგარიშზე განსაზღვრული ოდენობით თანხის შემოტანა.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. შემონირულობის გამცემის უფლება-მოვალეობები

2.1.1. შემონირულობის გამცემი კისრულობს ვალდებულებას ჩარიცხოს რსუ-ს ანგარიშზე ----- ლარი რსუ-ს ოთხი სტუდენტისათვის რსუ-ს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში ყოველთვიურად გაცემის მიზნით;

2.1.2. შემონირულობის გამცემი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია მისი სახელობის სტიპენდიის დანიშვნა-გაცემის თაობაზე.

2.2. შემონირულობის მიმღების უფლება-მოვალეობები

2.2.1. შემონირულობის მიმღები ვალდებულია რსუ-ს ოთხი სტუდენტისათვის (81 ქულა და მეტი შეფასებების მქონე და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებისათვის) დაანესოს ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია. თანხა გაიცემა საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

2.2.2. შემონირულობის მიმღები ვალდებულია, შემონირულობის გამცემის მოთხოვნის შესაბამისად მისცეს მას ინფორმაცია ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების დანიშვნა-გაცემის თაობაზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძველი

3.1. ხელშეკრულება ძალაშია 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2011 წლის ივლისის ჩათვლით.

3.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია ამ ხელშეკრულების პირობების 2011-2012 სასწავლო წელზეც გავრცელება.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება რსუ-ში, ხოლო მეორე - შემონირულობის გამცემთან;

4.2. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

მხარეთა ხელმოწერები

„შემონირულობის მიმღები“ _____ „შემონირულობის გამცემი“ _____

რექტორი, პროფესორი: _____

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი _____

კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტაციის საკონტროლო ნუსხა

	წარსადგენი საკონკურსო დოკუმენტები	ეგზემპლართა რაოდენობა	დოკუმენტის სისწორის ნოტარიული დამოწმება
1	სტუდენტის სასწავლო/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV);	1	არ არის სავალდებულო
2	სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სტიფიკატ(ებ)ის და სხვ. ასლ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	1	სავალდებულოა
3	პირადობის მოწმობის ასლი	1	არ არის სავალდებულო
4	ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ	1	არ არის სავალდებულო
5	გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის ასლები	1	არ არის სავალდებულო
6	სარეკომენდაციო წერილი	1	არ არის სავალდებულო
7	სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლობის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შესაბამისი სამსახურის მიერ		არ არის სავალდებულო

შენიშვნა: მე-2 და მე-5 გრაფაში აღნიშნული დოკუმენტების დამოწმება შესაძლებელია შესაბამისი საუნივერსიტეტო სამსახურების მიერ, თუკი სამეცნიერო კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვა ღონისძიება ჩატარდა რსუ-ში, ხოლო დოკუმენტის დედნის წარმოდგენის შემთხვევაში არ არის სავალდებულო მისი ნოტარიულად დამოწმება.

დანართი

განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ალიოშა ბაკურიძეს

1.	სახელი, გვარი	
2.	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და პირადი ნომერი:	
3.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):	
4.	დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა):	
5.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი/ რეგისტრაციის ადგილი (მისამართი):	
6.	ტელეფონი::	
7.	ელექტრონული ფოსტა:	
8.	ფაკულტეტი , საფეხური :	
9.	სპეციალობა:	

გავეცანი რა ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესს, გთხოვთ, მიიღო ჩემი განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში.

განცხადებას თან ერთვის:

- 1) პირადობის მოწმობის ასლი;
 - 2) ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ.
 - 3) სტუდენტის სასწავლო/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV);
 - 4) სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლობის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შესაბამისი სამსახურის მიერ;
 - 5) გამოქვეყნებული ნაშრომების ასლები ---- ფურცელი;
 - 6) სარეკომენდაციო წერილი;
 - 7) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი, სიგელი, სერთიფიკატი და სხვ. დედანი / ნოტარიულად დამოწმებულ ასლი ---- ფურცელი; (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, თანხმობას ვაცხადებ : ა) რსუ-მ ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. ბ) არასწორი ან ყალბი მონაცემების (დოკუმენტაციის) დადგენის (აღმოჩენის) შემთხვევაში ჩემი განაცხადი არ განიხილოს საკონკურსო კომისიამ ან თუ დანიშნული მექნება სტიპენდია, შემიწყდეს ვადაზე ადრე.

----- განმცხადებლის ხელმოწერა:
თარიღი: _____

დანართი

სასწავლო-სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV)

1. სახელი, გვარი _____

2. _____ ფაკულტეტი, (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)

	ჩარიცხვის წელი	სპეციალობა	შენიშვნა
1			
2			

3. სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებები:

4. პუბლიკაციების რაოდენობა: _____, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში _____, _____ (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)

5. პუბლიკაციების ჩამონათვალი კონკურსანტის შეხედულებისამებრ

